# ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულო

ჩოხატაური  წერეთლის ქ. №2

☎ 790 20-33-05
577 47-43-34


## საკრებულოს თავმჯდომარის
## ბ რ ძ ა ნ ე ბ ა №50

18 თებერვალი 2013 წ.

**ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის ბალანსზე არსებულ სატრანსპორტო საშუალებებზე, ტრაქტორებსა და სპეციალურ ტექნიკაზე შესასრულებელი სამუშაების შესწავლის, მიმდინარე კაპიტალური შეკეთების სამუშაოების მიღება-ჩაბარების მიზნით კომისიის შექმნის შესახებ**

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის ბალანსზე არსებულ სატრანსპორტო საშუალებებზე, ტრაქტორებსა და სპეციალურ ტექნიკაზე შესასრულებელი სამუშაების შესწავლის, მიმდინარე კაპიტალური შეკეთების სამუშაოების მიღება-ჩაბარების მიზნით

**ვბრძანებ:**

1. შეიქმნას კომისია შემდეგი შემადგენლობით:

- ირაკლი ახობაძე - მუნიციპალიტეტის გამგებლის მოადგილის დროებით მოვალეობის შემსრულებელი - ჯგუფის ხელმძღვანელი;
- ვლადიმერ გოგიბერიძე - მუნიციპალიტეტის გამგეობის მუნიციპალური შესყიდვებისა და მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი - კომისიის წევრი;
- თენგიზ ცენტერაძე - მუნიციპალიტეტის გამგეობის ეკონომიკის, ინფრასტრუქტურის და საინვესტიციო გარემოს განვითარების სამსახურის სპეციალისტი ეკონომიკის საკითხებში - კომისიის წევრი;
- პაატა ბერიშვილი - მუნიციპალიტეტის გამგეობის მუნიციპალური შესყიდვებისა და მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის სამსახურის სპეციალისტის მოვალეობის შემსრულებელი სახელმწიფო შესყიდვების საკითხებში - კომისიის წევრი;

2. დაევალოს კომისიას:

ა) მუნიციპალიტეტის ბალანსზე არსებული სატრანსპორტო საშუალებების, ტრაქტორების, სპეციალური ტექნიკის შეკეთების მიზნით შესასრულებელი სამუშაოების შესწავლა და სადეფექტო აქტის გაფორმება.

ბ) მუნიციპალიტეტის ბალანსზე არსებული სატრანსპორტო საშუალებების, ტრაქტორების, სპეციალური ტექნიკის მიმდინარე და კაპიტალური შეკეთების სამუშაოების მიღება-ჩაბარება.

3. საჭიროების შემთხვევაში კომისიაში მოწვეული იქნას სპეციალისტები და ექსპერტები.

4. ძალადაკარგულად გამოცხადდეს ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის 2012 წლის 9 იანვრის ბრძანება N10 ,,ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის ბალანსზე არსებულ სატრანსპორტო საშუალებებზე, ტრაქტორებსა და სპეციალურ ტექნიკაზე შესასრულებელი სამუშაების შესწავლის, მიმდინარე კაპიტალური შეკეთების სამუშაოების მიღება-ჩაბარების მიზნით კომისიის შექმნის შესახებ“.

5. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ერთი თვის ვადაში, ოზურგეთის რაიონული სასამართლოს მაგისტრატ სასამართლოში ჩოხატაურის მუნიციპალიტეტში, მისამართზე – ჭავჭავაძის ქ. N 4.

6. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

*საკრებულოს თავმჯდომარე*

*ანტონ ხუნდაძე*

*ვიზირებულია,*

*იურისტი* *ედიშერ ჯიბუტი*